საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2582 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან გათავისუფლების შემთხვევების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ივნისის №1324 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან გათავისუფლების შემთხვევების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ივნისის №1324 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის ვალდებულებისაგან 2020 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლდეს:

ა) საქართველოს პარლამენტის, მისი ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ ელექტრონული ფორმით მიღებული, გამოცემული და გაგზავნილი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები; საქართველოს პარლამენტის აპარატში ელექტრონული ფორმით მიღებული და საქართველოს პარლამენტის აპარატიდან გასაგზავნი ელექტრონული დოკუმენტები;

ბ) საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოსაწერი საკანონმდებლო აქტები, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ელექტრონული ფორმით გამოსაცემი სამართლებრივი აქტები (მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, რომლებიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანახელმოწერას საჭიროებს), აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ელექტრონული ფორმით მიღებული და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გასაგზავნი ელექტრონული დოკუმენტები;

გ) ელექტრონული ფორმით მისაღები/გამოსაცემი საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტები და სხვა ელექტრონული დოკუმენტები; საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანახელმოწერილი საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები;

დ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული სუბიექტების მიერ ნორმატიული აქტების საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოსაქვეყნებლად გაგზავნილი ნორმატიული აქტები და სხვა ელექტრონული დოკუმენტები.“.

2. განკარგულება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**